დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 23 08
29/04/2020

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურისათვის ” უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი’’ 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4-ე და მე-6-ე პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 10 ერთეული ელექტრო ქურა (9 ერთეული 4(ოთხი) კამფორიანი ქურა ღირებულებით 33300 (ოცდაცამეტი ათას სამასი) ლარი და ერთი ერთეული 6 (ექვსი) კამფორიანი ქურა ღირებულებით 5333 ლარი), საბალანსო ღირებულებით 38633 (ოცდათვრამეტი ათას ექვსას ოცდაცამეტი) ლარი .

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

23-08-4-202004291446
https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/